ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №991266

ნომერი: AR1173954

თარიღი : 31.10.2013

გაცემის თარიღი : 11.11.2013

გაცნობის თარიღი : 11.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იაკობ გვალია პ/ნ 01005004078
- ჭავჭავაძის 37დ, ბ 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 27 თებერვლის #01/466 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 31 ოქტომბრის #AR1173954 განცხადებით მომართა სს "პარკ თაუნის" წრმომადგენელმა იაკობ გვალიამ და მოითხოვა ამავე

სამსახურის 27.02.12 წლის #01/466 ბრძანებაში, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 27.02.12 წლის #01/466 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #80–ში ს.ს. "პარკ–თაუნი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. აქტში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის შესაბამისად. დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს საერთოდა საზაფხულო ფართების შეცვლას ვინაიდან შეცდომის გამო საზაფხულო ფართში არ იქნა შეყვანილი ტერასისა და ღია აივნების ფართები. სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეთანხმებულ არქიტეტურულ პროექტს და თვლის რომ განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს სს "პარკ თაუნის" წრმომადგენელის იაკობ გვალიას 2013 წლის 31 ოქტომბრის AR1173954 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 თებერვლის #01/466 ბრძანებაში. კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მიწის ნაკვეთის ფართი _ 17410.0 კვ.მ.
მოშენების ფართი _ 720.00 კვ.მ.
საერთო ფართი _ 7558.62 კვ.მ.
მათ შორის:
ავტოსადგომის ფართი – 795.20 კვ.მ.
კომერციული ფართი – 171.30 კვ.მ.
სარდაფების ფართი – 173.90 კვ.მ.
დამხმარე ფართი _ 1276.00 კვ.მ.
ბინების ფართი _ 4182.30 კვ.მ.
საზაფხულო ფართი _959.92 კვ.მ.
სამშენებლო მოცულობა – 22900.00 კუბ.მ.
კ1–ის საანგარიშო ფართი – 0.04
კ2–ის საანგარიშო ფართი – 0.32

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 თებერვლის #01/466 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.